

სპორტიული

საერთაშორისო ბაზარი 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამუშაო, 1 მარტი 1994 № 12 (87) ფასი 3500 კუპონი

კვირას ლილექამერში დათავრდა ზამთრის XVII ოლიმპიადა



ოლიმპიადის მონაწილე
70 ქვეყანამ მსოფლიოს 61
კომპლექტი გაითამაშა.
ჩემპიონები 14 ქვეყნის
სპორტსმენები გახდნენ,
პრიზიორები —
22 სახელმწიფოსი:

	I	II	III	სულ
რუსეთი	11	8	4	23
ნორვეგია	10	11	5	26
გერმანია	9	7	8	24
იტალია	7	5	8	20
აშშ	6	5	2	13
კორეა	4	1	1	6
კანადა	3	6	4	13
შვეიცარია	3	4	2	9
ავსტრია	2	3	4	9
შვედეთი	2	1	-	3
იაპონია	1	2	2	5
ყაზახეთი	1	2	-	3
უკრაინა	1	-	1	2
უზბეკეთი	1	-	-	1
ბელარუსი	-	2	-	2
ფინეთი	-	1	5	6
საფრანგეთი	-	1	4	5
პოლანდია	-	1	3	4
ჩინეთი	-	1	2	3
სლოვენია	-	-	3	3
ბრიტანეთი	-	-	2	2
ავსტრალია	-	-	1	1

არც არავინ ელოდა და ქართველებმა ნორვეგიაში სასახელო
შედეგებს ვერ მიაღწიეს. მთავარი ოლიმპიადის მონაწილეობაა
და არა გამარჯვება — უნებურად ეს გაცხადებული ფრაზა
გაგახსენდება კაცს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში უმთავრესი სულ
სხვაა: საქართველომ, როგორც ქვეყანამ, პირველად იასპარეზა
ოლიმპიურ თამაშებში!

ლილექამერში 25 თებერვალს კიდევ ორი ქართველი გამოვიდა:
ზურაბ ჯიფცეშვილი ალპურ კომბინაციაში შემავალი სწრაფ-
დაშვების შემდეგ 44-ე ადგილზე იყო, მაგრამ მეორე სახეობაში,
სლალომში, პირველი დაშვებისას ერთ-ერთ მოსახვევში შესვლა
იჩქარა, ნაიქცა და შეჯიბრებას გამოაკლდა.

კახა ნაქაძე საშუალო, 90-მეტრიანი ტრამპლინიდან 75,5 და
71 მეტრზე გადახტა, 156,5 ქულა დააგროვა, 50-ე ადგილზე
გავიდა და ექვს მსტომელს აჯობა.

კვირას, ოლიმპიადის დახურვის დღეს, ლევან აბრამიშვილიც
დაეშვა სლალომის ტრასაზე. მისი გამოსვლა-არაგამოსვლის სა-
კითხი ბოლო ნუთს, ჩვენი სპორტის თავკაცთა მეცადინეობით
მოხერხდა, თუმცა ლევანი პირველივე ცდის დასაწყისშივე ნაიქცა
და თავს იმით ინუგეშებდა, რომ 60 მონაწილიდან ორივე ტრასის
ფინიშამდე, 22-მა ჩააღწია.

ასე დამთავრდა ქართველთა პირველი საოლიმპიადო ლაშქრობა.
ოთხი წლის შემდეგ, იაპონიაში, ნაგანოში მორიგი ზამთრის
ოლიმპიადის, მანამდე, კი 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური
თამაშები გველის!

„სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტი
ილია ბაბუნაშვილი ლილექამერდან გვატყვობინებს



«გური» იულება?

8 მარტს საქართველოს ჩემპიონატი
განახლდება. ლანჩხუთის «გური» კი
ჯერ პარჯიშიც არ დაუწყია...

მესამე თვეა ლანჩხუთის «გური» თბი-
ლისში იმყოფება. დიან, მხოლოდ იმყო-
ფება, რადგან კარგა ხანია ლანჩხუთელის
არ უვარჯიშოთ. ამის მიზეზზე გუნდის
მთავარ მწვრთნელს, თემურ ჩხაიძეს ვესა-
უბრეთ.

— ბატონო თემურ, რატომ არ ვარჯი-
შობს გუნდი?

— ფეხბურთელებს არ აუსრულეს სეზო-
ნის წინ დაპირებული პირობები. მათაც
იმიტომ, იმიტომ და ბოლოსდაბოლოს
ასე გამოჩატეს პროტესტი.

— თქვენი მოსვლა აგროსში მთავარი
მწვრთნელის პოსტზე ერთგვარი მოულო-
დნელია იყო.

— წინა ჩემპიონატის დამთავრების შე-
დეგ გიგლა იმნაძემ უარი თქვა გუნდის
მთავარ მწვრთნელად. მოხდა ისე, რომ
გუნდი კარგა ხნის მანძილზე უმწვრთნე-
ლოდ იყო. რაიონის გამგებელმა ანზორ
კილაძემ, კლუბის პრეზიდენტმა გია გოგუ-
აძემ და თავად ფეხბურთელებმა მოხიფეს
საფეხბურთო გუნდის სათავეში. მეც უარი
ვუთხარი. დიდი მეცადინეობის შე-
დეგ «გური»-ში დაგბრუნეთ ფრიდონაშ-
ვილი, კორნაღიძე, თევზაძე, აბუსერიძე,
დანელია. არც სათამაშო სტილი შეგვიც-
ვლია: ფორმებისა და იმნაძის სკოლის გა-
ყვით, გუნდი ათამაშდა და საბოლოო პირი
იბრუნა სტადიონისკენ, მაგრამ სეზონის
წინ ხელმძღვანელობის მიერ დანაპირები
დანაპირებდა დარჩა და ახლა ისეა საქმე,
შეიძლება გუნდი დაიშალოს კიდევ.

— ხელმძღვანელობა დანაპირებს არა თუ
ვერ ასრულებს?

— ჩემი აზრით, მათ გულთ უნდათ
გუნდს დაეხმარონ, მაგრამ სეზონის წინ
ვერ გაითვალისწინეს, რამდენა ხარჯე-
ბთან ექნებოდათ საქმე. გუნდის შენახვა
იოლი არაა.

— მეორე წრე კი კარგა მომდგარა...

— ერთ კვირაში სეზონი უნდა გახე-
ლდეს, გუნდმა კი საკონტროლო თამაში
კი არა, ვარჯიშიც ვერ ჩაატარა. თბილისის
„დინამოს“ ხელმძღვანელობის თავაზიანი
ნებართვითა და თანადგომით დიდხანს ბაზა-
ზე ვვარჯიშობდით, სათამაშო ფორმაც
„დინამო“ გვარჯა. ორი თვის წინ საკონ-
ტროლო მატჩი რომ ვეთამაშეთ „დინა-
მოს“, მას მერე ფეხი არ გავკენძრევია.

— გამოსვლის რაში ხედავთ?

— ფეხბურთელებს დანაპირები უნდა აუ-
სრულონ. აქ ერთი მომენტია კვლავ გასა-
თვალისწინებელი: ყველას პენია, რომ
როგორც კი ფეხბურთელები შეიბრებულს
მისცემს, ყველაფერი მოგვარდება. ასე არაა
საქმე. დანაპირების ასრულება მხოლოდ
პირველი ეტაპია, ამის შემდეგ შეიძლება
შედეგზე ფიქრი.

— აქ ერთი რამ მინდა გავიხსენო: „გური-
ში“ ყველა მწვრთნელი მაშინ დაიპყრო,
როცა მას სათავეში ლანჩხუთელი ედგა:
ბეგი სისარულიძემ უმადლეს ლიგაში გა-
დაიყვანა გუნდი, გიგლა იმნაძისდროს კი
ეროვნულ ჩემპიონატში ორჯერ, მეორე
ადგილი ავიღეთ და საქართველოს
პირველი თასის მფლობელებიც გავხდით.
მეც ლანჩხუთელი ვარ, „გური“ კი ჩე-
მპიონის მატჩი ფეხბურთის გუნდი არ არის,
იგი ჩემი სიცოცხლის ნაწილია. მე ოცნე-
ბად მაქვს ისეთ პირობებში მუშაობა, რო-
გორშიც ზემოთ დასახელებული მწვრთნე-
ლები მუშაობდნენ. თუ შენდნენ, მხარშიც
ამომდგნენ...

— საუკეთესოთა გაჭირვების პირობებში
ალბათ ძნელია ფეხბურთის გუნდისთვის მო-
ცლა.

— კი მაგრამ, რაღა გაჭირვებული გუნ-
დებისგან ავიღოთ მაგალითი. აგერ, „დინა-
მოს“ მიუბაძოთ, საქმე სათითვით რომ აქვს
აწყობილი, მისგან გადავიღოთ ყოველივე
კარგი.

— ორიოდ სიტყვა ეროვნული ჩემპიო-
ნატის მანკერ მხარეზეც ვთქვათ...

— ჩვენ მწვრთნელები, მსაჯები, ფეხბუ-
რთელები, სპეციალისტები — ყველა ერთ-
მანეთს ვიცნობთ. აღარ შეიძლება ავტო-
მატურად დაშვება. საზღვარგარეთიდან ავი-
ღოთ მაგალითი, როდესაც გუნდს არა-
ფრად უნდა ქულა, მაგრამ მაინც ბოლომდე
იბრძვის.

— გვინდა თუ არ გვინდა, მსაჯობის თემას
ვერ გადავუხვევთ...

— თუ გვინდა მსაჯებმა ნორმალურად
იმსახურო, მათ ანაზღაურება უნდა გავუზა-
ღოთ ნორმალური და ამის შემდეგ მოვთ-
ხოვით. თორემ ასეთ მსაჯობას რა აზრი
აქვს? განა მსაჯმა თავად უნდა დახარჯოს
თანხა მიუღიანებისთვის?

— აღბეჭდვითა ახსენეთ. თქვენი
აზრით, როგორ უნდა ვებრძოლოთ მას?

— ზომ ყველასთვის ნათელია ჩაწვობი-
ლი თამაში. ნებისმიერი სპეციალისტი რა-
მდენიმე წუთში მიხვდება ამას. საჭიროა
მკაცრად დავსაჯოთ თორივე გუნდი, ორი-
ვეს წაგება ჩვეუთვალთ, არც ერთი ფაქტი
არ დაგვტოვოთ უყურადღებოდ და თუ მი-
რველივე გაუქმებული შედეგის შემდეგ
არა, მესამე-მეოთხეჯერ მკაცრად დასჯის
შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დად-
გება.

— ზემოთ თქვით, რომ სათამაშო ფორმა
„დინამო“ ვარჯა. ნუთუ მართლაც ისეთი კა-
ტასტორულად მდგომარეობაშია რაიონი,
რომ „გურიასთვის“ ფორმის შეძენა არ შე-
უძლია?

— „დინამოს“ რომ არ მოეცა ფორმა,
არც კი ვიცი, როგორ გავარქმევდით
სეზონს. ინვენტარი ზომ საერთოდ არა
გვაქვს, ტრუსი რაა, ისიც თითო-თითო
მოგვეკრევა.

— მოუხმევად იმისა, რომ უფარვებ-
ლები ხართ, „ბუნდელას თასზე“ ურთოდ არ
გამოსულხართ: ორი დამატებული მოგების
შემდეგ მესამე მატჩი მხოლოდ მას შემდეგ
დათმეთ, რაც მსაჯმა ორი ფეხბურთელი გა-
ციქვით.

— არც ერთ ტურნირზე არ გვინდოდა
მონაწილეობის მიღება, მაგრამ იმ გზი-
ბიკის ხსოვნას ვეცით პატივი. ის ორი გა-
ბეჭება კი სამართლიანი იყო და მე მინდა
ჩემი ფეხბურთელების ნაცვლად ბოდიში
მოვიხადო: ხსოვნის ტურნირს არ ვუადრე-
ბოდა ამგვარი რამ.


— და ბოლოს ისევ მთავარი — რამდენ-
ად რეაქტორი, რომ გ... ლოს?

— თუ არ მოგვხვდება, რა გ...
მე მესმის ფეხბურთელების... ოჯა-
ხი შენს კისრზე, შენ... ენთუზი-
აზმზე თამაში. რა ქნას ფ... ურთობა, მან
ზომ თამაშის გარდა არაფერი იცის, რით
არჩინოს ოჯახი? გახსოვთ გინა გუჯაბი-
ძე? მას შემდეგ რაც ტრავმა მიიღო, აღა-
რავის გახსენდება, არადა ბიჭი თვეები იწვა-
არც კომპენსაცია მიუცია, ვინმეს... ასეთი
ფეხბურთელის ბუდი საქართველოში...

მამუკა კაკაბაძის ფოტო

წლის სენსაცია: ვილკინსი

კალიფორნიის
გზას გაუყენეს



ამ ზეშაბიძის დიდი ამბები დატრიალდა ამერიკის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. მათგან ყველაზე სენსაციური „ატლანტა ჰორნეტს“ ფრთის დომინიკ ვილკინსის „ლოს-ანჯელეს კლიპერსში“ გადასვლა. 32 წლის ვილკინსი, რომელიც ასოციაციაში მო-
ხელის დღიდან 12 წლის მანძილზე ერთგულად იცავდა „ჰორნეტს“ ლირსებს და 23 ათასზე მე-
ტი ქულა შეისძინა მას (ვილკინსი NBA-ის ისტორიაში მე-9 ადგილზეა ბომბარდირთა შორის),
გაცვლეს „კლიპერსის“ ფრთაში დანი მანინგში. ვილკინსს, ვინც 1988 წლის აგვისტოში თბი-
ლისის სპორტის სასახლეშიც გვინახავს, სეზონის დამთავრებისთანავე კალთბურთისთვის თავის
მინებება ჰქონდა გადაწყვეტილი. ორი კვირის წინ დანი მანინგის გადაბირება „ლენგერ ნი-
გიოსის“ სურდა — მისი სანაცვლოდ კლუბის საუკეთესო ბომბარდირს ლაფონსო ელისსაც იმ-
ლეოდა, მაგრამ დანი საბოლოოდ „ატლანტაში“ აღმოჩნდა.
„ჰორნეტს“ და „ფილადელფია-76“-მა მსროლელები გაცვლეს. „იუტელი“ ჯეფ მელონი
ფილადელფიელი ჯეფ პორსაჩის ადგილს დაიკავებს. სხვათა შორის, ორი წლის წინ „76“-მა
პორსაჩეი ჩარლზ ბარკლის სანაცვლოდ მიიღო „ფინიქსისგან“.

კოულენი ყველაზე კვირია

ზეშაბიძის დიდი NBA-ში ყველაზე ძვირი კონტრაქტი. „ნიუ-ჯერსი ნეთის“
26 წლის თავდამსხმელმა დერიკ კოულენმა, ვინც მე-4 სეზონს თამაშობს ასოცი-
აციაში, ხუთი წლით გააგრძელა ხელშეკრულება თავისივე კლუბთან და ამაში
37,5 მილიონ დოლარს მიიღებს. აქამდე ყველაზე ძვირფასი მოთამაშე „შარლო-
ტელი“ ლარი ჯონსონი იყო: 12 წელიწადში 84 მილიონი დოლარი.

ასოციაციის სხვა ამბები იხილეთ მეოთხე გვარზე

დი ჩენბა: სუთილან სუთი!



სუთილან, 24 თებერვალი
საერთაშორისო ოლიმპიკი
გაგანტური სლალომი. ქა-
ლები. 52 მონაწილე. იტა-
ლია.

ლიელომ დებორა კომპანიონი ორივე
დღეებზე საუკეთესო დრო აჩვენა და
უახლოეს მდებარე ლამის წამანახეა-
რით აჯობა! 52 ქალიდან ორივე ცდა
მხოლოდ 24-მა ჩაათავა. უილბოროთა
შორის აღმოჩნდნენ ლიელომდებარის ჩემ-
პიონები, ვიბერგი და ზაინცერგი.

ჩემპიონი: დებორა კომპანიონი, იტალია.
ოლიმპიკი: 1 (სუთილან) — 1992).

ჩრდილოეთი ორბილი გუნდური პირვე-
ლობა. 12 გუნდი. მსოფლიოს და ოლიმ-
პურმა ჩემპიონებმა იაპონელებმა წინა-
დღით ტრამპლინიდან ხტომის შემდეგ
ნორვეგიელებს ისე გაუხადეს საქმე,
რომ ამით 3X10 კმ ესტაფეტაში თი-
თქმის 6 წუთი უნდა მოეგოთ, რაც ბუ-
ნებრეგია, ვერ შეძლეს და შერაც ადგი-
ლზე დარჩნენ. მესამე ადგილი შეეცა-
რებულმა შეინარჩუნეს.

საბოლოო რბოლა. 30 კმ კლასიკუ-
რი სტილით. ქალები. 63 მონაწილე. იტალი-
ელმა მანუელა დი ჩენტამ ლიელომდებ-
არში ხუთ დისტანციაზე ხუთი მედალი
ბოლოვდა, რაც ვერ შეძლო ოთხი მე-
დლის პატრონმა რუსმა ლიუბოვ ეგო-
როვამ — ბოლო დღეს მეხუთე ადგი-
ლით გააუმჯობესა.

ფრისტილი. აკრომატიკა. ქალები. ვაჟები.
21 თებერვლის საკლასიკო შეჯი-
ბრმა ფინალის 12-12 მონაწილე გამო-
ავლინა, რომლებმაც იქ ბრძოლა თავი-
დან დაიწყეს. ქალებში უზუბეკა ლინა
ბერიოვამ გაიმარჯვა, კაცებში კი
შვეიცარიელმა ანდრეას შონბახლერმა,
ვისაც აქამდე არაფერი მოეგო, უკან
ორი კანადელი მსოფლიოს ჩემპიონი
— ლაროკი და ლანგლუა მოიტოვა.

ჩემპიონი: ლინა ბერიოვა, უზბეკეთი. მსო-
ფლიოს ჩემპიონატებზე: 1 (1993).

შორტტრეკი. 500 მ. ქალები. 27 მონაწილე.
ყოველი გარბნიდან შემდეგ ეტაპზე
ორ-ორი სპორტსმენი გადიოდა. ჩემპი-
ონი ამერიკელი კეტი ტერნერი გახდა.
ჩემპიონი: კეტი ტერნერი, აშშ. ოლიმპი-
კი: 1 (500 მ — 1992), 1 (ესტაფე-
ტა — 1992).

პარასკევი, 25 თებერვალი

ბიატლონი. ესტაფეტა 4X7,5 კმ. ქალები.
17 გუნდი. ალბერგის ოლიმპიადის
შემდეგ ქალთა ესტაფეტას ერთი ეტაპი
შეიმუშა და სწორედ ამან დღესდღეა ლი-
ელომდებარში გერმანელები: მათ მხო-
ლოდ სამ ძლიერ ქალს მოუყარეს თავი
და ორი ეტაპის შემდეგ რუსებს წუთზე
მეტს უგებდნენ, მაგრამ მესამე ეტაპზე
სიმონა გრანინგმა თავი უკესი ზედმეტი
150-მეტრიან წრის სირბილით დაისაჯა
და წინ რუსები გაუშვა. ამით ბოლომდე
ზუსტად ისროლეს, ბოლო ეტაპზე
თვით ანფისა რეზოვამაც კი ტყვიას
ტყვიას ჩაჩინა. და ტალანტისთან,
სნიტინასთან და ნოსკოვასთან ერთად
ჩემპიონი გახდა. მესამე ადგილზე ალბერ-
გის ჩემპიონი ფრანკი გავიდნენ.

ფიგურული სლალომი. ქალები. 27 მონაწი-
ლე. ქალთა ფიგურული სლალომი პა-
რადინგ — კერისანის გახმაურებული
საქმის შემდეგ ოლიმპიადზე ყველაზე
პოპულარულ სახეობად იქცა. ალბერ-
გის ბრინჯაოს პრიზმერი ნენსი კე-
რიგანი, ვისაც კოტა ხნის წინ პარადინ-
გის ყოფილი ქმრის წაქეზებით მუ-
ხლში რკინის კე, უთავაზეს, 23 თებერ-
ვლის ორბილი პრიზმის შე-
დეგ ლაზარო, მაგრამ უკრაი-
ნელი კე, ათულს საბოლოოდ მაინც
ვერ აჯობა. ფრობის ოთხჯამის ჩემპი-
ონმა, ფრა, 1 ანგმა სურია ბინალი-
მაც ვერ შეძლო აჩვენა მედალი და
ის ჩინელ კე ჩენს დაუთმო. ორჯამის
ოლიმპიური ჩემპიონი, მოყვარულებში
წელს მობრუნებული გერმანელი კატა-
რინა ვიტი მეშვიდე იყო, კერიგანის მო-
სისხლე ტანია პარადინგი კი, ვინც 1991
წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე

ყოფილა, აშკარად მეორე ადგილს ვერ
ასცდა.

ჩემპიონი: ოქსანა ბაიული, უკრაინა. მსოფ-
ლიოს ჩემპიონატებზე: 1 (1993).

საერთაშორისო კომპინაცია. ვაჟები.
ამ ოლიმპიადზე პირველად მოხდა, მთე-
ლი კვარცხლბეკი თანამემამულეებმა
რომ დაიკავეს. ნორვეგიელმა ლასე კი-
უსმა, ვინც 14 თებერვლის სწრაფდაშე-
ვების შემდეგ ზიდერბოდა, პირველი
ადგილი სლალომის შემდეგაც შეინა-
რჩუნ. ჩეტოლ-ანდრე ომოდტმა მეექვსე
ადგილიდან მეორეზე გადაიწია, ტომი
მო მესამე ადგილიდან მეხუთეზე ჩამო-
ქვეითდა, მარკ კირარდელი მეშვიდე-
დან — მეცხრეზე.

ჩემპიონი: ლასე კიუსი, ნორვეგია. მსოფლი-
ოს ჩემპიონატებზე: 1 (კომპინაცია —
1993).

ციფურაობა. 5000 მ. ქალები. ალბერგი-
ლის ორბის ჩემპიონმა, გერმანელმა
გუნდმა ნიმაზმა ლიელომდებარში ვეღარ
გაიმარჯვა. 5000 მეტრზე მას თანამე-
მამულე კლაუდია პეხშტაინმა აჯობა.
მესამე ადგილზე იაპონელი იამამატო
გავიდა.

ჩემპიონი: კლაუდია პეხშტაინი, გერმანია.
ოლიმპიკი: 1 (5000 მ — 1994; 5000
მ — 1992).

ტრამპლინიდან ხტომა. საშუალო ტრამ-
პლინი. დიდი ტრამპლინიზე ვიცე-ჩემპიონი
ნორვეგიელი ესპენ ბრედესენი აშკარად
ჩემპიონი გახდა, მისი თანამემამულე
ლასე ოტესენი მეორე იყო, გერმანელი,
დიტერ ტომი — მესამე. ლიელომდებარის
ორბის ჩემპიონი იენს ვისფლოგი მე-
ოთხე ადგილზეა.

ჩემპიონი: ესპენ ბრედესენი, ნორვეგია. მსო-
ფლიოს ჩემპიონატებზე: 1 (დიდი ტრამ-
პლინი: პირადი, გუნდური — 1993).

შაბათი, 26 თებერვალი

ბიატლონი. ესტაფეტა 4X7,5 კმ. ვაჟები. 18
გუნდი. რუსმა ვაჟებმა მესამე საბიატ-
ლონი ოქროს მოგება ვეღარ შეძლეს:
პირველ ორ ეტაპზე ზედმეტი 2 წრის
რბენამ მოუწიოთ და ამისობაში წინ გე-
რმანელები გაიჭრნენ. შარშანდღეა
მსოფლიოს ჩემპიონმა იტალიამ 5 საჯა-
რიმო წრე ირბინა და მეექვსე ადგილს
ვერ ასცდა.

საერთაშორისო სლალომი. ქალები.
53 მონაწილე. გიგანტური სლალომის ჩე-
მპიონმა დებორა კომპანიონიმ მე-10
ადგილი აიღო, სხვა ფავორიტები: სლო-
ვენი დოვკანი, გერმანელი ფოგტი, ავს-
ტრიელი ვახტერი და ზელანდიელი კო-
ბერგერი პირველ და მეხუთეზე წაიჭნენ.
ჩემპიონი კი ვეტერანი შვეიცარიელი
ფრენი შნაიდერი გახდა, რომელიც მე-
ორე და მეხუთეს წინ მეექვსე ადგილზე
იყო. შნაიდერმა ამ ოლიმპიადზე სამი-
ვე ხარისხის მედალი მოიპოვა, ლიდერი
კატია კორენი კი საბოლოოდ ბრინჯაოს
მედალი დაკაყოფილდა.

ჩემპიონი: ფრენი შნაიდერი, შვეიცარია.
ოლიმპიკი: 1 (სლალომი, გიგანტურ-
ი სლალომი — 1988), 1 (კომპინა-
ცია — 1994), 1 (გიგანტური სლალო-
მი — 1994), მსოფლიოს ჩემპიონატებზე:
1 (გიგანტური სლალომი — 1987,
1989; სლალომი — 1991), 1 (სლალო-
მი, კომპინაცია — 1989), 1 (კომპინა-
ცია — 1991).

შორტტრეკი. 500 მ. ვაჟები. 1000 მ.
ქალები. ესტაფეტა 5000 მ. ვაჟები. ეს
სახეობა ალბერგის ოლიმპიადზე
კორეელთა გასახარად ჩართეს და
ლიელომდებარში, როცა უკვე ექვსი
მედალი გათამაშდა, ამით მთლად
გაილაღეს: 4 ოქროს თითო ვერცხლი
და ბრინჯაო დაუმატეს და თითო ოქრო
ამერიკელებს (1 ოქრო, 1 ვერცხლი, 2
ბრინჯაო) და იტალიელებს დაუთმეს (ამ
უკანასკნელებმა ვაჟთა ესტაფეტაში
გაიმარჯვეს და კიდევ ერთი ვერცხლიც
ჩაიჭიბეს), კანადამ 2 ვერცხლი და 1
ბრინჯაო აიღო, ჩინეთმა — 1 ვერცხლი,
ბრიტანეთმა და ავსტრალიამ — თითო
ბრინჯაო.

კერა, 27 თებერვალი

საბოლოო რბოლა. 50 კმ. კლასიკური
სტილით. ვაჟები. 72 მონაწილე.
ოლიმპიადის ბოლო დღეს ნორვე-

გიელებს ერთი ოქროს მედალი მაინც
უნდა მოეგოთ, ამ მაჩვენებლით რუსებს
რომ დასწოდნენ. რაც შეეხება
ვერცხლ-ბრინჯაოს და მედლების სა-
ერთო რაოდენობას, ამით მასპინძლები
ისედაც წინ იყვნენ. მათ იმელებს
პირველმა ვაზახმა ვლადიმერ სმირ-
ნოვმა გადაუწურა წყალი. მან თავის
მესამე ოლიმპიადზე, როგორც იქნა,
მოიპოვა ჩემპიონობა. მასპინძლებიდან
ვერც ლიელომდებარის ოთხჯამის მედა-
ლოსანმა ბიორნ დელომ ივარგა,
რომელიც მეოთხე იყო და დი ჩენტას
მიღწევა ვერ გაიმეორა, და ვერც
ვეგარდ ულანგმა, ვინც საგანგებოდ ამ
ბოლოსთვის ემზადებოდა. ულანგმა
მეათე იყო, იტალიელები — მათრილიო
დემოლიტი, ჯორჯო ვანცეტა და სილვიო
ფაუნერი მე-7, მე-8 და მე-11
ადგილებზე გავიდნენ.

ჩემპიონი: ვლადიმერ სმირნოვი, ვაზახეთი.
ოლიმპიკი: 1 (30 კმ, 4X10 კმ —
1988; 10 კმ, 15 კმ — 1994), 1 (15
კმ — 1988), მსოფლიოს ჩემპიონატებზე:
1 (30 კმ — 1989), 1 (4X10 კმ —
1987, 30 კმ — 1991, 10 კმ, 15
კმ — 1993), 1 (15 კმ — 1991, 30 კმ —
1993).

საერთაშორისო სლალომი. ვაჟები.
60 მონაწილე. ნორვეგიის ოქროს
მედალს მოპოვების ბოლო შანსი ჰქ-
ონდა და საკმაოდ საფუძვლიანად:
იტალიელ ალბერტო ტომასთან ერ-
თად გამარჯვების მთავარი პრეტენ-
დენტები ამ სახეობაში მსოფლიო
ჩემპიონი ჩეტოლ-ანდრე ომოდტი და
წინა, ალბერგის ოლიმპიადის გამარ-
ჯებული ფინ-კრისტიან იაგე იყვნენ,
რომელთაც ზურგს კიდევ ორი კაცი,
ოლე-კრისტიან ფურუსეტი და ლასე
კიუსი უმაგრებდა. ამ ოთხეულიდან
ორივე ცდა მხოლოდ იაგემ ჩაათავა,
ომოდტი მეორე ტრასის დასაწყისშივე
წაიჭტა, დანარჩენი ორი — პირველზე.
ამით ბედი ლუქსემბურგელმა მარკ
კირარდელიმაც გაიზიარა. ვერც
ტომამ შეძლო თავისი მეოთხე
ოლიმპიური ოქროს მოგება და
სლალომი მსოფლიოს თასის შარ-
შანდელი მფლობელი შვედი თომას
ფოგდელს მეხუთე დარჩა. ამდენ ფა-
ვორიტში კი ჩემპიონი ავსტრიელი
თომას შტანგასინგერი გახდა.

ჩემპიონი: თომას შტანგასინგერი, ავსტრია.
მსოფლიოს ჩემპიონატებზე: 1 (სლალომი —
1991), 1 (სლალომი — 1993).

ბოხსლეი. ოთხადგილიანი. 80 ეკიპა.
ჩემპიონი გერმანელთა მეორე ეკიპა
გახდა, რომლის მესამე, პარალელ ცუ-
დადამ თავისი უფრო სახელოვანი
კოლეგა ვოლფგანგ პოპე მესამე
ადგილზე მოიტოვა, შვეიცარიელები —
მეორეზე.

პოკი. ნანგვარფინალი. 25 თებერვალი.
კანადა — ფინეთი 5:3, შვედეთი —
რუსეთი 4:3. მესამე ადგილისთვის. 26
თებერვალი. ფინეთი — რუსეთი 4:0.
ფინალი. 27 თებერვალი. შვედეთი —
კანადა 2:2 (ბულიტებით 3:2).

ფინალში ანგარიში შედგა თომას
იონსონმა. გახსნა მე-7 წუთზე, მერე
მესამე პერიოდში კარამ 50-ე წუთზე
ანგარიში გაათანაბრა და 52-ეზე
მაიერმა წინაც გაიყვანა კანადელები,
რომლებიც 1952 წლის შემდეგ ოლი-
მპიური ჩემპიონები აღარ გამხდა-
რიყვნენ, მაგრამ ძირითადი დროის
დამთავრებამდე 2 წუთით ადრე
სვენსონმა რიცხობრივი უპირატესობა
გამოიყენა. დამატებით 10-წუთიან პე-
რიოდში გოლი აღარ გასულა,
ბულიტებით შვედებმა გაიმარჯვეს და
ოლიმპიური ჩემპიონები პირველად
გახდნენ. გადამწყვეტი ბულიტი პეტერ
ფორსბერგმა შეაგდო.

მესამე ადგილისთვის ფინელებმა რუ-
სები დაამარცხეს და მას უკან, რაც
ამით ოლიმპიადებზე გამოსვლა და-
იწყეს, პირველად დატოვეს უმელოდ.
მეხუთე ადგილისთვის ჩინებმა სლო-
ვაკებს მოუგეს.

ილია ბაბუნაშვილი,
ტელეფონით ლიელომდებარდან

22 თებერვალი

შორტტრეკი. ვაჟები. 1000 მ.

1 კიმ კი პუნი	კორეა	— 1:34,57 (A)
2 ჩა ხი პუნი	კორეა	— 1:34,92 (A)
3 მარკ კანოონი	კანადა	— 1:33,03 (B)
4 სატორუ ტერაო	იაპონია	— 1:33,39 (B)
5 ლი ხუნ პო	კორეა	— 1:44,99 (B)

(A) და (B) ფინალში ფინალზე ხუთმა კაცმა მიიღია

23 თებერვალი

საერთაშორისო სლალომი. ვაჟები. გიგანტური სლალომი

1 მარკუს ვასტიერი	გერმანია	— 2:52,46
2 ურს კელინი	შვეიცარია	— 2:52,48
3 ქრისტიან მაიერი	ავსტრია	— 2:52,58
4 იან-შენარ ტორსენი	ნორვეგია	— 2:52,71
5 რაინერ ზალცგებერი	ავსტრია	— 2:52,87
6 ნორმან ბერგამელი	იტალია	— 2:53,12

ბიატლონი. ვაჟები. 10 კმ.

1 სერგეი ჩეპიკოვი	რუსეთი	— 28:07,0 (0)
2 რიკო გროსი	გერმანია	— 28:13,0 (0)
3 სერგეი ტარასოვი	რუსეთი	— 28:27,4 (1)
4 ვლადიმერ დრაჩოვი	რუსეთი	— 28:28,9 (1)
5 ლუდვიგ გრედლერი	ავსტრია	— 29:05,4 (2)
5 ფრანკ ლუკი	გერმანია	— 29:09,7 (2)

25 თებერვალი

ფიგურული სრიბლი. ქალები

1 ოქსანა ბაიული	უკრაინა	
2 ნენსი კერიგანი	აშშ	
3 ლიუ ჩენი	ჩინეთი	
4 სურია ბონალი	საფრანგეთი	
5 იუკა სატო	იაპონია	
6 ტანია შევჩენკო	გერმანია	

საერთაშორისო კომპინაცია. ვაჟები. კომპინაცია

1 ლასე კიუსი	ნორვეგია	— 3:17,53
2 ჩეტოლ-ანდრე ომოდტი	ნორვეგია	— 3:18,55
3 პარალ-კრისტიან ნილსენი	ნორვეგია	— 3:19,14
4 გიუნტერ მადერი	ავსტრია	— 3:19,23
5 ტომი მო	აშშ	— 3:19,41
6 პაულ აკოლა	შვეიცარია	— 3:19,44

ბიატლონი. ქალები. ესტაფეტა 4 X 7,5 კმ.

1 რუსეთი	ნადეჟდა ტალანოვა, ნატალია სნიტინა	— 1:47:19,5
2 გერმანია	ლუიზა ნოსკოვა, ანფისა რეზოვა	— 1:51:16,5
3 საფრანგეთი	ურსულა დიზლი, ანტიე მიზერსკი	— 1:52:28,3
	სიმონა გრანინგი, პეტრა შაფი	
	დელფინ ეიშანი, ან ბრინი	
4. ნორვეგია	— 1:54:08,1; 5. უკრაინა — 1:54:26,5; 6. ბელარუსი — 1:54:55,1	

26 თებერვალი

ბიატლონი. ვაჟები. ესტაფეტა 4 X 7,5 კმ.

1 გერმანია	რიკო გროსი, ფრანკ ლუკი, მარკ კირხენრი, სვენ ფიშერი	— 1:30:22,1
2 რუსეთი	ვალერი კირიენკო, ვლადიმერ დრაჩოვი	— 1:31:23,6
3 საფრანგეთი	სერგეი ტარასოვი, სერგეი ჩეპიკოვი	— 1:32:31,3
	ტიერი დიუშერი, პატრის ბელი-სალენი, ლიონელ ლორენი, ერე ფლანდენი	
4. ბელარუსი	— 1:32:57,2; 5. ფინეთი — 1:33:11,9; 6. იტალია — 1:33:17,3	

საერთაშორისო სლალომი. ქალები. სლალომი

1 ფრენი შნაიდერი	შვეიცარია	— 1:56,01
2 ელფრიდ ედერი	ავსტრია	— 1:56,35
3 კატია კორენი	სლოვენია	— 1:56,61
4 პერნილა ვიბერგი	შვედეთი	— 1:56,68
5 გაბრიელა კინკრე	შვეიცარია	— 1:57,80
6 ქრისტიან ფონ გრენიგენი	შვეიცარია	— 1:57,86

27 თებერვალი

საბოლოო რბოლა. ვაჟები. 50 კმ. კლასიკური სტილით

1 ვლადიმერ სმირნოვი	ვაზახეთი	— 2:07:20,3
2 მიკა მელილა	ფინეთი	— 2:08:41,9
3 სტურე სივერტსენი	ნორვეგია	— 2:08:49,8
4 ბიორნ დელი	ნორვეგია	— 2:09:11,4
5 ერლინგ ივენე	ნორვეგია	— 2:09:12,2
6 კრისტერ მაიბეკი	შვედეთი	— 2:10:03,8

საერთაშორისო სლალომი. ვაჟები. სლალომი

1 თომას შტანგასინგერი	ავსტრია	— 2:02,02
2 ალბერტო ტომი	იტალია	— 2:02,17
3 იურე კოსინი	სლოვენია	— 2:02,53
4 შიტია კუნცი	სლოვენია	— 2:02,62
5 თომას ფოგდელ	შვედეთი	— 2:03,05
6 ფინ-კრისტიან იაგე	ნორვეგია	— 2:03,19

დანარჩენი 19 სახეობის სრულ შედეგებს მომდევნო ნომრებში იხილავთ

იტალია
XXV ტური. 27 თებერვალი.
ატლანტიკა — იუვენტუსი 1:3;
ბიანკინო — ლაციო 1:2, ტორინო — ინტერი 2:0, მილანი — ფიორენტინა 2:1, პარმა — კრემონეზე 2:1, ნაპოლი — კალიარი 1:2, ვენეცია — ლუჩე 2:0, უდინეზე — რეჯანა 2:1, რომა — სამპდორია 0:1.

ცხრილის სათავეში მყოფმა ზუთივე გუნდმა მორიგე ორ-ორი ქულა აიღო. „ფიორენტინა“ წინა ტურში „პარმასთან“ მოგების შემდეგ იმედით შესცქეროდა „მილანთან“ თამაშს, მაგრამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ გოლი გაუტანა ჩემპიონს, რომლის მეკარე სე-ბასტიანო როსი 929 წუთი უბრუნდებოდა კარს. ეს სტუმართა რუსმა თავდამსხმელმა იგორ კოლივანოვმა შესძლო, თუმცა „ლაციოს“ ახლანდელი მწვრთნელის დინო ჰოფის რეკორდი (903 წუთი) მაინც დაეცა. ამ მომენტისთვის „მილანი“ უკვე 2:0 იგებდა ბორცვით ბოზანის (47) და მასაროს (54) გოლებით. „მილანმა“ 25-ე თამაშში მხოლოდ მე-9 გოლი გაუშვა, და ეს, ალბათ, ფრანკო ბარეზის არყოფნით აიხსნება. გათამაშების ცხრილში ზემოდან მეორე „იუვენტუსი“ სტუმრად ქვემოთან მეორეს, „ატლანტას“ შეხვდა და რუმცა უკვე მე-9 წუთზე აგებდა (განცე), შემდგომში, სამი გოლი გაიტანა (რ. ბაჯო — 2, კონტე). კვლავ არ უმართლებს „რომას“, რომელიც მთელი მეორე ტაიმი განუწყვეტელი უტევდა „სამპდორიას“, მაგრამ რო-ბერტო მანინის მატჩის დასაწყისშივე გატანილი გოლი ამ შეხვედრაში ერთადერთი აღმოჩნდა. გაუჭირდა „პარმას“, მაგრამ მას ისევ ჯან-ფრანკო ძოლამ უშველა. 57-ე წუთზე მელმ ეფექტური გოლით წინ გაიყვანა მასპინძლები, თუმცა მალე კრემონეზელმა რიკარდო მასპერომ ანგარიში გაქვითა და მხოლოდ მსახის საფინალო სისტემაზედ ოთხ წუთით ადრე ძოლამ პენალტით „პარმას“ მოაგებინა. პენალტი კარგად შე-ასრულა „ნაპოლის“ ურუგვაელმა და-ნიელ ფონსეკამაც, მაგრამ „კალი-არის“ ბრაზილიელმა ლუის ოლი-ვეირამ მას ორით უპასუხა და სტუმრებს მოულოდნელი გამარჯვება მოაპოვებინა. გასვლაზე მოიგო „ლა-ციომაც“. „პიანინცას“ კარში გა-დამწყვეტი გოლი 72-ე წუთზე შევიცარიაში დაბადებულმა რო-ბერტო დი მატეო გაიტანა.

მილანი (1)	25	16	8	1	29-9	40
იუვენტუსი (4)	25	12	10	3	44-21	34
სამპდორია (7)	25	15	4	6	49-31	34
პარმა (3)	25	14	5	6	40-21	33
ლაციო (5)	25	12	7	6	36-26	31
ტორინო (9)	25	9	9	7	32-25	27
ინტერი (2)	25	9	8	8	34-27	26
ფიორენტინა (12)	25	7	11	7	36-31	25
ნაპოლი (11)	25	8	9	8	35-30	25
კალიარი (6)	25	8	9	8	33-40	25
რომა (10)	25	5	12	8	21-25	22
პიანინცა (დ)	25	7	8	10	23-35	22
კრემონეზე (დ)	25	7	7	11	28-32	21
უდინეზე (14)	25	6	9	10	22-33	21
ჯენოა (13)	25	5	11	9	19-30	21
რეჯანა (დ)	25	5	8	12	18-30	18
ატლანტა (8)	25	4	8	13	24-46	16
ლუჩე (დ)	25	2	5	18	18-47	9

ესპანეთი
XXVI ტური. 26-27 თებერვალი. ბარსელონა — ლა კორუნიკა 3:0, სელტა — რაიო ვალეკანო 0:0, ვალენსია — ლოგრონესი 3:1, სპორტინგი — ლერიდა 1:1, სარაგოსა — ვალიადოლიდი 2:0, რეალი — ტენერიფე 1:1, ოსასუნა — ატლეტიკი 0:0, სოსიედადი — ატლეტიკი 2:1, ალბასეტე — ოვიედო 5:0, სევილია — სანტანდერი 2:1.

ტურის ცხრა თამაში კვირას შედგა, თუმცა იმ დროისთვის უკვე ცნობილი იყო ცენტრალური მატჩის შედეგი: „ბარსელონამ“ გა-ანადგურა „ლა კორუნიკა“ — 3:0. ყველაზე შედეგიანი გუნდისა და ყველაზე გაუვალად დაცვის პატრონი გუნდის დუელი პირველთა აშკარა უპირატესობით დამთავრდა. მიმო-ხილვებში კიდევ ერთ ორთა-ბრძოლას ელოდნენ — ორი ბრა-ზილიელი თავდამსხმელისა და ეს დავაც მასპინძელმა მოიგო: რო-მარიოს კლასმა აგობა ბეგეტოს ენთუზიამს და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ბარსას“ კარს იმ დღეს სუბსარეტა არ იცავდა. მისი შემ-ცვლილი კარლოს ბუსკეტის სტუმრებმა მხოლოდ რამდენიმე შეაწყვეს, მაგრამ მან უშეცდომოდ ითამაშა. ანგარიში ხრისტო სტო-იკოვმა 23-ე წუთზე გახსნა, შემდგომ წუთში მანვე ზღაპრული პასი მისცა რომარიოს და სეზონში 22-ე გოლი გაატანა. კრუფის გუნდი მაინც არ დაწყნარდა და ბევრი საგოლე მომენტი შექმნა, თუმცა მხოლოდ შეცვლაზე შემოს-ულმა მიქელ ლაურდუპამ შესძლო 78-ე წუთზე კიდევ ერთი გატანა. „ბარსელონას“ დაცვა ამჯერად უშეცდომოდ ითამაშობდა, რასაც ვერ ვიტყვით სტუმართა ანალოგიურ ხაზზე — გუნდი, რომელიც სა-შუალოდ ზუთ თამაშში ორ გოლს უშვებდა, იმ დღეს ერთბაშად სამჯერ შეაწყვეს. ამ ორ გუნდს შორის სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა და „ბარსელონას“ და „რეალს“ იმედი მიეცათ, მაგრამ... „მაგის“ გადა-კიდებას, „იმის“ აკიდება სჯობია — სწორედ „ტენერიფეზე“ ნათქვამი. კანარიის კუნძულებზე ამჯერადაც იგებდნენ და მხოლოდ მატჩის ბოლოს იხსნა „რეალმა“ ერთი ქულა და ტენერიფელთა გადამკიდემ მეორე ადგილიც დაკარგა.

ლა კორუნიკა (3)	26	16	6	4	37-13	38
ბარსელონა (1)	26	15	4	7	60-32	34
რეალი (2)	26	14	6	6	37-26	34
სარაგოსა (9)	26	12	5	9	44-32	29
ატლეტიკი (8)	26	11	7	8	38-27	29
სევილია (7)	26	10	9	7	37-27	29
სპორტინგი (13)	26	12	4	10	34-31	28
ალბასეტე (17)	26	8	11	7	39-37	27
ტენერიფე (5)	26	11	5	10	34-36	27
სოსიედადი (12)	26	10	7	9	30-33	27
სანტანდერი (დ)	26	10	6	10	27-26	26
ვალენსია (4)	26	9	7	9	31-35	25
ოვიედო (16)	26	8	9	9	26-35	25
სელტა (11)	26	7	9	10	21-28	23
ატლეტიკი (6)	26	7	8	11	38-36	22
ლოგრონესი (15)	26	5	11	10	30-38	21
რაიო ვალ (14)	26	7	7	11	30-42	21
ლერიდა (დ)	26	4	10	12	18-35	18
ვალიადოლიდი (დ)	26	4	10	12	19-37	18
ოსასუნა (10)	26	5	7	14	28-44	17

საქართველოს ნაკრების მო-მავალი მეტოქე ქვეყნების ერო-ვნული ჩემპიონატები ასე მი-მდინარეობს:

ბერმანია
XXIII ტური. 25-27 თებერვალი. კიუნგსლუტერნი — კარლსრუე 0:0, ვერდერი — ნიურნბერგი 2:2, კიოლნი — ლევერკუზენი 1:1, მიუნხენგლადბაი — ფრაიბურგი 1:1, აინტრახტი — შალკე 1:3, ბაიერნი — დუსელდორფი 4:0, შამპურგი — დინამო 1:1, ვატენშაიდი — ლაიპციგი 2:2, დორტმუნი — შტუტგარტი გადამდო.

ბაიერნი (2)	23	10	8	5	50-27	28
კიუნგსლუტერნი (8)	23	11	5	7	41-28	27
შამპურგი (11)	23	11	5	7	38-32	27
დუსელდორფი (დ)	23	10	7	6	29-34	27
ლევერკუზენი (5)	23	9	8	6	42-31	26
აინტრახტი (3)	23	10	6	7	37-29	26
ვერდერი (1)	23	9	8	6	34-26	26
კარლსრუე (6)	23	8	9	6	30-23	25
კიოლნი (12)	23	9	5	9	30-32	23
შტუტგარტი (7)	23	8	6	9	44-43	22
დორტმუნი (4)	22	8	6	8	30-34	22
ფრაიბურგი (დ)	23	7	7	9	40-42	21
დინამო (15)	23	7	10	6	26-31	20
შალკე (10)	23	6	7	10	26-37	19
ნიურნბერგი (13)	23	6	5	12	27-38	17
ვატენშაიდი (14)	23	3	10	10	29-44	16
ლაიპციგი (დ)	23	2	10	11	20-42	14

„დინამოს“ დაკლებული აქვს 4 ქულა.
მეორე ბუნდესლიგაში გუშინ წინ-ქინქლაძისა და შელიას „ზაარ-ბრიუენი“ სტუმრად 2:2 ითამაშა „შტუტგარტერ კიუნგსლუტერსთან“.

ალბანეთი
XVII ტური. 26 თებერვალი. ტეტი — ალბანეთი 1:0 (ზალი), დინამო — აპოლონი 1:0 (ქაფა), ბესა — პარტიზანი 1:1 (მიტრუკი, მუსა), ვლენია — ლუშნიკი 3:0 (პალიო, მუჯა, მარტინი), ბესლიდია — ფლამურტარი 1:2 (სულა, სადუდინი, პაქიუ), ტირანა — ელბასანი 3:1 (გალო, ზუნა, ზუნა; ბილალი).
ლიდერთა მდგომარეობა ასეთია:

ფლამურტი (13)	17	9	6	2	21-9	24
ტირანა (11)	17	8	5	4	26-11	21
ტეტი (2)	17	7	7	3	25-14	21

ბულგარეთი
XV ტური. 27 თებერვალი. ლევსკი — ლოკომოტივი (გო-რნო ორბახოვიცა) 6:0, ბოტევი — ლოკომოტივი (სოფია) 3:2, ეტერი — ცსკა 2:0, ჩერნო მორე — ჩერნომორევი 0:0, სლავია — ლოკომოტივი (პლოვდივი) 2:2, ბეროე — სპარტაკი 1:0, შუმენი — პირინი 2:0.

ლევსკი (1)	15	13	1	1	42-6	40
ბოტევი (3)	15	8	3	4	29-19	27
ცსკა (2)	15	8	2	5	31-14	26
შუმენი (დ)	15	7	3	5	29-22	24
ეტერი (6)	15	6	5	4	24-17	23
პლოვდივი (4)	15	7	2	6	22-20	23
სლავია (14)	15	6	5	4	18-16	23
ლოკ. სოფია (5)	15	6	3	6	19-17	21
გორნო ორ (9)	15	6	3	6	17-25	21
დობრუჯა (13)	15	5	3	7	21-23	18
ჩერნომორე (8)	15	4	4	7	21-26	16
ბეროე (10)	15	4	4	7	13-21	16
პირინი (7)	15	3	4	8	12-23	13
სპარტაკი (12)	15	3	2	10	12-36	11
ჩერნ. მორე (დ)	15	2	4	9	11-36	10

მოგებისთვის ბულგარეთში 3 ქულა იწერება

სარბიელი
ტოტალიზატორი
"CROCO"

უახლესი ფორმები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

	1	X	2
1-3 მარტი			
სპარტაკი — ბარსელონა	2,5	2,0	2,0
მოსკო — ვალენსია	1,4	2,2	4,4
მილანი — ვერდერი	1,2	2,5	6,0
ანდერლეხტი — პორტუ	1,4	2,2	4,4
ბენიკა — ლევერკუზენი	1,4	2,2	4,4
აიაქსი — პარმა	1,6	2,0	3,6
ტორინო — პრინციპალი	1,4	2,2	4,4
რეალი — პარი სენ-ჟერმენი	1,3	2,3	5,0
ბრეშე — კარლსრუე	1,6	2,0	3,6
ბორუსია — აინტრახტი	1,5	2,2	3,6
კალიარი — უკმატესი	2,0	2,0	3,6
აინტრახტი — კაზინო	1,2	3,0	3,0
ლაიპციგი — დორტმუნი	2,2	2,0	2,3
ლევერკუზენი — მიუნხენგლადბაი	1,2	2,5	5,5
კარლსრუე — ნიურნბერგი	1,3	2,0	6,0
დუსელდორფი — ვატენშაიდი	1,2	2,4	6,0
დინამო — კიოლნი	1,3	2,0	6,0
ფრაიბურგი — აინტრახტი	1,7	2,2	3,0
შტუტგარტი — შამპურგი	1,5	2,5	3,0
შალკე — კიუნგსლუტერნი	1,5	2,5	3,0
ბაიერნი — ვერდერი	1,3	2,3	4,5
ბილილი — ვალენსია	1,3	2,3	4,5
ლოგრონესი — სელტა	1,4	2,1	4,5
რაიო ვალეკანო — სპორტინგი	1,4	2,1	4,5
ლერიდა — რეალი	3,5	2,5	1,3
ტენერიფე — სევილია	1,4	2,3	3,8
სანტანდერი — რეალ სოსიედადი	1,5	2,1	3,7
ატლეტიკი — ალბასეტე	1,3	2,3	4,5
ოვიედო — ბარსელონა	3,5	2,5	1,3
ლა კორუნიკა — სარაგოსა	1,3	2,2	5,0
ვალენსია — ოსასუნა	1,4	2,0	4,8
ფიორენტინა — ატლანტა	1,3	2,2	5,0
კალიარი — კრემონეზე	1,3	2,2	5,0
პიანინცა — ჯენოა	1,5	2,0	4,0
იუვენტუსი — მილანი	1,5	2,2	3,4
ლუჩე — ნაპოლი	3,8	2,3	1,4
რეჯანა — პარმა	2,0	2,0	2,5
სამპდორია — ტორინო	1,2	2,4	6,0
ინტერი — უდინეზე	1,3	2,2	5,0
4-6 მარტი			

აზიკომპანია «ლიდია»
შპს-ს აზიკომპანია
მოსკოვიდან თბილისში, თბილისიდან მოსკოვში
სამგზავნის, პარასკევს, კვირას
ბილეთები იყიდება აზიკომპანიის სააგენტოში
(თბილისი, ლესელიძის 30. ტელ. 98-59-45)
უკუგზავნა (საბინა გარე) 10-დან 16 საათამდე

ტოტოლოტო
საფიქსურთო პროგნოზი

ტირანა N 04 5-6 მარტი

	I წრე	პროგნოზი
ბერმანიის ჩემპიონატი		
1 ბაიერნი — ვერდერი	0:1	6 3 1 1
2 შტუტგარტი — შამპურგი	2:3	5 3 2 1
3 ფრაიბურგი — აინტრახტი	0:3	3 4 3 12
ესპანეთის ჩემპიონატი		
4 ლა კორუნიკა — სარაგოსა	1:0	6 2 2 1
5 ტენერიფე — სევილია	0:4	6 3 1 1
6 ოვიედო — ბარსელონა	0:1	2 4 4 X 2
იტალიის ჩემპიონატი		
7 იუვენტუსი — შალკე	1:1	3 5 2 1
8 ინტერი — უდინეზე	1:0	7 2 1 1
9 ლაციო — რომა	1:1	3 5 2 X
10 სამპდორია — ტორინო	3:2	6 3 1 1
11 რეჯანა — პარმა	0:1	3 3 4 1 X 2

შესვლილი ბილეთების ღირებულება: მოსკოვიდან თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 15 საათამდე, თბილისიდან ტელეგრაფის შენობაში, ცნობისათვის დარეკეთ 70-32-61

მოულოდნელად, 56 წლისა გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, ევროპის ჩემპიონი

გივი ჩოსტელი

„სარბიელი“ თანაგრძობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

